

პასპორტის მისაღებად საჭიროა შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- გენერალური საკონსულოს სახელზე გამოწერილი მანი ორდერი (Money Order) 130 აშშ დოლარის ოდენობით (შელაგვითების სანახავად გთხოვთ დააჭიროთ აქ);
- იმ შემთხვევაში თუ თქვენი სახელი ან გვარი შეიცვალა უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული სამოქალაქო აქტის საფუძველზე (მაგ. ქორწინება, განქორწინება ან სხვა) საჭიროა წარმოდგენილ იქნეს სახელის ან გვარის ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტი ან სხვა ცნობა აპოსტილით დამოწმებული;
- იმ შემთხვევაში, თუ გსურთ პასპორტის მიღება ფოსტის საშუალებით, გთხოვთ წარმოადგინოთ მუყაოს კონვერტი მისამართით და სათანადო რაოდენობის საფოსტო მარკებით;
- თუ ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არ არის წარმოდგენილი პირის დოკუმენტისგაცემის ან რეგისტრაციის ფაქტის დადასტურება, არ არის წარმოდგენილი პირის ფოტოან არსებული ფოტოს ხანდაზმულობიდან გამომდინარე ვერ ხერხდება იდენტიფიკაციის დადგენა, საჭიროა ფოტოზე გამოსახული პირის იდენტიფიკაციის დადგენა საქართველოს სრულწლოვანი მოქალაქის მიერ. საკონსულო თანამდებობის პირი უფლებამოსილია მოითხოვოს ფოტოიდენტიფიკაციის დადასტურება ან გააფრთხილოს მოქალაქე წინასწარ არსებული პროცედურის განხორციელების შესაძლებლობაზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც პასპორტი გაცემულია 10 წლის წინ ან მოქალაქე ფლობს ხმარებიდან ამოღებულ ე.წ. ბორჯღალოიან პასპორტს და შესაბამისად პასპორტის გაცემისას არ იქნა აღებული პირის ბიომეტრიული მონაცემები. ფოტოიდენტიფიკაციის დადასტურება შესაძლებელია, როგორც საკონსულოში, ასევე, ქ. თბილისის იუსტიციის სახლში.

პასპორტი გაიცემა განაცხადის მიღებიდან 45 დღის განმავლობაში 10 წლის ვადით.